ევროკავშირი საქართველოსთვის
The European Union for Georgia

EDEC

ASB
Arbeiter-Samariter-Bund

ხელმისაწვდომი გარემო ყველასთვის

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნისა და ეფექტური ფუნქციონირების

გზამკვლევი

2020

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შექმნისა და ეფექტური ფუნქციონირების

გზამკვლევი

წინამდებარე დოკუმენტი სარეკომენდაციო ხასიათისაა. ის ეფუძნება **საქართველოს კონსტიტუციას, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას, ადგილობრივ კანონმდებლობას, სამთავრობო სამოქმედო გეგმებს, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის რეკომენდაციებს და სხვა სამართლებრივ აქტებს,** რომელთა შესრულება სავალდებულოა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, **როგორც ცენტრალური ხელისუფლების, ისე ადგილობრივი** თვითმმართველობების მიერ და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად ეხება **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა** უფლებას, სრულყოფილად იყვნენ ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

დოკუმენტი ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციას, ადგილობრივ კანონმდებლობას, სამთავრობო სამოქმედო გეგმებს, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის რეკომენდაციებს და სხვა სამართლებრივ აქტებს.

დოკუმენტი შედგენილია ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის: „თანაბარი შესაძლებლობები **შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის** - სოციალური სერვისების მიმწოდებლების მხარდაჭერა რეგიონებში“ **ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებლები არიან გამოცემაზე მომუშავე პირები:**

პროექტის ავტორები და გამოცემაზე პასუხისმგებელი პირები: გიგა სოფრომაძე, ლია კილაძე
რედაქტირება: კობა ნადირაძე
დიზაინი და დაკაბადონება: ნატალია ღლონტი, ნატა ყიფიანი

ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით, მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი და არ ნიშნავს, რომ გამოხატავს ევროკავშირის შეხედულებებს.

This publication is created with the assistance of the European Union, its contents are the sole responsibility of the EDEC and do not reflect the views of the European Union.

ვინ არის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის განმარტება მოცემულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციების (გაეროს) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციაში[1], *რომლის თანახმად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები, ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებებთან შესაძლოა ხელი შეუშალოს ამ პირის სრულ და ეფექტურ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში.*

დოკუმენტის მომზადების საფუძველი

საქართველოს პარლამენტის 2013 *წლის* 26 *დეკემბრის* №1888-*რს დადგენილებით*[2] *საქართველოს სახელმწიფომ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე სავალდებულოდ შესასრულებლად გამოაცხადა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია“ და აიღო ვალდებულება, პოლიტიკასა და მუშაობის ყოველ მიმართულებაში დანერგოს და დაიცვას კონვენციის პრინციპები.*

სახელმძღვანელოს შექმნის მიზანია საქართველოს მუნიციპალიტეტებში, გაეროს 2006 წლის 13 დეკემბრის **„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“** განხორციელების და კონვენციის განხორციელებაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის ვალდებულების ეფექტიან შესრულებაში მხარდაჭერა.

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია ადამიანის უფლებების სფეროში 21 საუკუნის ყველაზე ყოვლისმომცველი დოკუმენტია, რომელიც ქმნის სამართლებრივ და ინსტიტუციურ მექანიზმებს რათა ადამიანის ყველა უფლებით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა სხვათა თანაბრად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე შეძლონ სარგებლობა.

კონვენციის ზოგადი პრინციპებია:

- ადამიანის თანდაყოლილი პიროვნული ღირსების, მისი ინდივიდუალური ავტონომიის პატივისცემა, გადაწყვეტილების მიღებისთვის უფლებისა და პიროვნების დამოუკიდებლობის ჩათვლით;
- დისკრიმინაციის დაუშვებლობა;
- სრულყოფილი ჩართვა და მონაწილეობა საზოგადოებაში;
- პატივისცემა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განსხვავებულობისადმი, მათი აღიარება ადამიანთა შორის არსებული განსხვავებულობის შემადგენელ ნაწილად;
- თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა;
- მისაწვდომობა;
- ქალთა და მამაკაცთა თანასწორობა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების შესაძლებლობის განვითარებისა და ინდივიდუალობის შენარჩუნების უფლების პატივისცემა.

1 გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენცია – https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0

2 საქართველოს პარლამენტის 2013 *წლის* 26 *დეკემბრის* №1888-*რს დადგენილება* **გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ თანდართული დეკლარაციის გათვალისწინებით რატიფიცირების შესახებ** – https://matsne.gov.ge/ka/document/view/2164946?publication=0

კონვენციის მუხლები ეხება ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, როგორიცაა:

- სიცოცხლის უფლება;
- ჯანმრთელობის უფლება;
- განათლების უფლება;
- სოციალური დაცვის უფლება;
- პიროვნების ხელშეუხებლობის უფლება;
- აზრისა და რწმენის უფლება;
- საცხოვრებლისა და ოჯახის პატივისცემის უფლება;
- პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება;
- დამოუკიდებელი ცხოვრების უფლება;
- კანონის წინაშე თანასწორობა;
- პიროვნების თავისუფლების და უსაფრთხოების უფლება;
- მოქალაქეობისა და თავისუფალი გადაადგილების უფლება;
- საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართვის უფლება;
- წამების ან სასტიკი, არაჰუმანური, დამამცირებელი მოპყრობისა და სასჯელისაგან თავისუფლების უფლება;
- ექსპლუატაციის, ძალადობისა და შეურაცხყოფისაგან დაცვის უფლება;
- მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უფლება;
- ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უფლება;
- შრომის და დასაქმების უფლება;
- კულტურულ, სპორტულ და გასართობ ღონისძიებებში მონაწილეობის უფლება:

*კონვენციაში მე-*4 და 29-ე *მუხლები ეხება სახელმწიფო მართვის საკითხებში მონაწილეობის შესაძლებლობას, კერძოდ: კონვენციის განხორციელებისთვის საჭირო სტრატეგიის შემუშავების, შემუშავებული სტრატეგიების განხორციელებაში* და *ზოგადად,* შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ სხვა ნებისმიერ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების ჩართულობის უზრუნველყოფის ვალდებულებას.

მუნიციპალიტეტებს, სხვადასხვა საკითხების შემუშავებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობის ვალდებულება ჯერ კიდევ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 15 დეკემბრის N978 განკარგულებით დამტკიცებული „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის 2010 – 2012 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმით“ დაევალათ.

*ხოლო, კონვენცით ნაკისრი ვალდებულებების ეფექტურად განხორციელებისათვის, კონვენციის მე-*4 და 29-ე მუხლის პირობების გათვალისწინებით, **საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა და დაამტკიცა** 2014 წლის 20 იანვრის №76 **დადგენილება – „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის** 2014 – 2016 წლების **სამთავრობო სამოქმედო გეგმა**“, **რომლითაც სხვა ვალდებულებებთან ერთად, მუნიციპალიტეტებს კონკრეტულად დაევალათ** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან/და მათი წარმომადგენლობით ორგანიზაციებთან თანამშრომლობით **შექმნან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოები**, რომელზეც **განიხილავენ და შეიმუშავებენ როგორც უშუალოდ** შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ, ისე საზოგადოებისათვის საერთო მნიშვნელობის სტრატეგიებს, გეგმებს, პროგრამებსა და ღონისძიებებს.

(**თანაბრი შესაძლებლობების უზრუნველყოფის** *2014 – 2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმა* **თავი** *I,* **მუხლი 3, პუნქტი 3.1 – 3.2**).

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საბჭო, **როგორც ჩართულობის მექანიზმის მოდელი:**

მოდელის არსი, საბჭოს პოლიტიკა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო წარმოადგენს მერის სათათბირო ორგანოს, რომელიც დაკომპლექტებულია მუნიციპალიტეტის მერის, მერის მოადგილის, მუნიციპალური სამსახურების წარმომადგენლების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებით ან/და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციებით.

საბჭოს მთავარი მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ჩართულობით მუნიციპალიტეტის მერიამ უზრუნველყოს **პოლიტიკის შემუშავება, სამოქმედო გეგმების შედგენა,** პროგრამებისა და დაფინანსებების გაცემის ისეთი პირობების შექმნა, რომელიც თანხვედრაში იქნება კონვენციის პრინციპებთან და უზრუნველყოფს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების სრულ და ეფექტურ სარგებლობას მათი ყველა უფლებით.

საბჭო მისი უფლებამოსილების და მუშაობის არეალის ფარგლებში ეცნობა მუნიციპალური პროგრამების და პროექტების შინაარსს, ამზადებს რეკომენდაციებს და საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალურ სამსახურებთან ერთად **ჩართულია გაცემული რეკომენდაციების საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებაში**.

საბჭოს მიერ მომზადებული რეკომენდაციები, უნდა ეხებოდეს არა რომელიმე კონკრეტული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის ან და ორგანიზაციის ინტერესებს, არამედ მორგებული უნდა იყოს ზოგადად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის წევრთა დიდი ჯგუფების საჭიროებებზე.

ჩვენი ქვეყნის რეალობიდან გამომდინარე, პრაქტიკამ აჩვენა, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან ერთად, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მუშაობენ, გვევლინებიან ინფორმაციის ერთ - ერთ მთავარ წყაროდ, ისინი აქტიურად არიან ჩართულნი პრობლემის პრევენციაში, სარეაბილიტაციო პროექტებში, ხელმისაწვდომი სერვისების შექმნაში, საკითხის სამართლებრივ დარეგულირებასა და მონიტორინგში. ამიტომ, საბჭოში, როგორც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების, ისე მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების ჩართულობა სავალდებულოა.

საბჭოს საქმიანობა რეგულირდება დებულებით (დებულების ნიმუში მოცემულია დანართის სახით).

საბჭოს საქმიანობები შეიძლება მოიცავდეს (და არამხოლოდ)

- მუნიციპალიტეტის სამოქმედო არეალში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი;
- ინდივიდუალური ნორმატიული აქტების (მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის, ცალკეული პროგრამის დადგენილებების) შესწავლა და კონვენციასთან შეუსაბამობის გამოვლენის შემთხვევაში, სწორი ფორმით შედგენაზე მიზნობრივი რეკომენდაციების მომზადება;
- საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტით (საჯარო სერვისები, ტურისტული, საგანმანათლებლო, კულტურისა და სპორტის დანიშნულების) სხვათა თანაბრად სარგებლობისთვის აუცილებელი მისაწვდომობის სტანდარტების არსებობის და მათი აღსრულების ეფექტური მექანიზმების შესახებ მონაცემების შეგროვება, შეფასება და მიზნობრივი რეკომენდაციების შემუშავება;
- მუშაობის პროცესში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენლობითი ორგანიზაციების და სხვა დაინტერესებული პირების ჩართულობის უზრუნველყოფა;
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართულებით მუნიციპალური სამოქმედო გეგმების შედგენის ინიცირება, შედგენაში მონაწილეობა და განხორციელების მონიტორინგი;
- საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ექსპერტებთან თანამშრომლობა მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით;

საბჭოს შემადგენლობა:

წევრობა:

- მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან, საბჭოს წევრებად წარმოდგენილი უნდა იყვნენ გადაწყვეტილების მიმღებ პოზიციაზე მომუშავე საჯარო მოხელეები, რომელთაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა კონვენციის განხორციელებაზე. ეს პირები არიან: მერი, მერის მოადგილე, მუნიციპალური სამსახურების უფროსები.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მხრიდან, საბჭოს წევრად წარმოდგენილი უნდა იყოს თითოეული თემის წარმომადგენელი (თუ ასეთი წარმომადგენლები სახეზე არიან), მაგალითად, როგორიცაა: უსინათლოთა, ყრუ და სმენის შეზღუდვის, მობილობის შეზღუდვის მქონე პირების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა, მშობლების, მენტალური დარღვევის და ა.შ. წარმომადგენელი პირი.

- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ან და მათი წარმომადგენლობითი ორგანიზაციების შერჩევისას სასურველია საბჭომ იხელმძღვანელოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის რეკომენდაციებით[3];

- საბჭოს წევრთა რაოდენობა უნდა იყოს გონივრულად განსაზღვრული საერთაშორისო ორგანიზაციებისა და ექსპერტების რეკომენდაციების, ადგილობრივი კონტექსტის და პრაქტიკის გათვალისწინებით, რომელიც გულისხმობს, რომ თითოეულ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემატურ ჯგუფს წარმოადგენდეს მინიმუმ ერთი ადამიანი.

  ამ მეთოდის გათვალისწინება, სხდომისათვის საჭირო დროის ეფექტურად მართვასთან ერთად, ხელს უწყობს რეალურ შედეგზე ორიენტირებული გადაწყვეტილებების მიღებას და მათ ეფექტურ აღსრულებას.

- საბჭოში მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურების წარმომადგენელი წევრები უნდა შეირჩნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებთან მათი უშუალო და ყოველდღიური კავშირის აუცილებლობის გათვალისწინებით. ამ გზით სხდომაზევე მოხდება დაყენებული საკითხების დამუშავება და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება.

წევრად შერჩევა:

პირი, რომელიც გამოხატავს დაინტერესებას საბჭოს წევრობასთან დაკავშირებით, **წევრად მიღებამდე აუცილებელია დაასაბუთოს მისი მოტივაცია, კომპეტენცია, საბჭოს წევრის უფლება-მოვალეობებზე და მათ შესრულებაზე საკუთარი ხედვა;**

- **საბჭოს წევრის მიღების პროცედურა დეტალურად უნდა გაიწეროს საბჭოს დებულებაში.**

მოწვეული მონაწილეები:

- საჭიროების შემთხვევაში საბჭო უფლებამოსილია მოიწვიოს თემის ექსპერტები, ან საკითხთან უშუალოდ კავშირში მყოფი პირები და ჩართოს ისინი საკითხის გადაწყვეტასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავების პროცესში;

- მოწვეული პირი შეიძლება იყოს, როგორც მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის ან სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციის წარმომადგენელი, ასევე განსახილველ თემასთან კავშირში მყოფი ნებისმიერი კომპეტენტური ფიზიკური ან იურიდიული პირის წარმომადგენელი.

---

3 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტი /C/11/2, დანართი II, პუნქტი 3.

თავმჯდომარე: მუნიციპალიტეტის მერი

თავმჯდომარის მოადგილე: მერის მოადგილე

აღმასრულებელი მდივანი: სასურველია საბჭოს ჰყავდეს აღმასრულებელი მდივანი, რომელიც შეასრულებს მაკოორდინირებელი რგოლის ფუნქციას საბჭოს წევრებს შორის. საბჭოს აღმასრულებელ მდივანთან გროვდება ინფორმაცია, როგორც მერიის, ისე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის წარმომადგენელი წევრების მუშაობის შესახებ, რომელიც დაინტერესების შემთხვევაში, ოპერატიულად მიეწოდება ნებისმიერ პირს. საბჭოს აღმასრულებელი მდივანი უნდა იყოს მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელი, რომელსაც ექნება დაკისრებული მოვალეობის შესაბამისი კომპეტენცია.

გადაწყვეტილებები: მიიღება საბჭოს სხდომაზე, რომელსაც წინ უძღვის ღია და გამჭირვალე კონსულტაციები, რომელიც უნდა აკმაყოფილებდეს კონვენციით დადგენილ მისაწვდომობის ყველა სტანდარტს.

საბჭომ ინფორმაციის მიღების მიზნით, მუნიციპალური სამსახურების ხელმძღვანელი პირებისგან უნდა მოისმინოს მათ მიერ, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებულ საკითხებზე გაწეული სამუშაოების კვარტალური და წლიური ანგარიში; ასევე შეუზღუდავად უნდა ჰქონდეს წვდომა მუნიციპალიტეტის მიერ მიმდინარე და დაგეგმილ სამუშაოებზე, გარდა კანონით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა.

საბჭოს შეხვედრები და სხდომები:

საბჭოს სხდომები უნდა ჩატარდეს გონივრულად დადგენილი სიხშირით, რომ შენარჩუნდეს საბჭოს ეფეტურობა. სხდომებს შორის პერიოდად შეიძლება დასახელებული იყოს 2-3 თვიანი ინტერვალი. ეს პერიოდი საკმარისია მიღებული გადაწყვეტილებების შესასრულებლად, ან მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადასადგმელად, ასევე სხვა ახალი საჭიროებების მოსაკვლევად. საბჭო, ასევე უნდა ადგენდეს საკუთარი საქმიანობის სამოქმედო გეგმას.

საბჭოს მუშაობის ფარგლებში ჩასატარებელი სხდომების პროცედურები და წესები თავიდანვე უნდა იყოს განსაზღვრული. წესებში იგულისხმება მუშაობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ინტერესთა კონფლიქტის მართვასთან დაკავშირებული დათქმები, ასევე უშუალოდ შეხვედრების ჩატარების **პროცედურები**, ყველა შემთხვევაში მისაწვდომობის სტანდარტის გათვალისწინებით.

ასევე აუცილებელია თემატური შეხვედრების ჩატარება მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლების, საბჭოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **პირთა წარმომადგენელი წევრების**, არა წევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **პირების და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლების მონაწილეობით**. **მსგავსი შეხვედრები ემსახურება ინფორმაციის გაზიარებას მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებით არსებულ მდგომარეობაზე**. თემატური ჯგუფების შეხვედრები **საკონსულტაციო ხასიათისაა და ის ემსახურება როგორც საბჭოს მუშაობის, ისე გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ფართო ჯგუფების ჩართულობის ვალდებულების შესრულებას**.

გამჭირვალობა:

- ყველა შეხვედრის თარიღი და მასთან დაკავშირებული დეტალები (დღის წესრიგი, ჩატარების ადგილი და სხვა) სხდომის ჩატარებამდე გონივრულ ვადებში უნდა განისაზღვროს;
- ყველა შეხვედრის დღის წესრიგი და ოქმი უნდა იყოს ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის;
- ყველა მასალა და დოკუმენტი უნდა იქნეს ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის საჭიროებაზე მორგებული ფორმით;

გარდა ზემოთხსენებულისა, დაინტერესებული პირებისთვის ასევე არსებობს სხვადასხვა მექანიზმი, რომლებიც ხელს უწყობს გამჭირვალეობასა და მონაწილეობას, მათ შორის სოციალური ქსელები და სხვა ელექტრონული რესურსები:

1 შეხვედრებზე პირადად დასწრება და განხილვების მოსმენა

დასწრების მექანიზმი:

- საბჭოს შეხვედრაზე დასწრება თავისუფალია;
- ნებისმიერი დაიტერესებული პირის დასწრებას უნდა უზრუნველყოფდეს დებულება;

2 წერილობითი წარდგინება

წერილობითი წარდგინების მექანიზმი:

- დაინტერესებულმა პირმა სხდომამდე წერილობით უნდა წარადგინოს მუნიციპალიტეტის მერიაში მისთვის მნიშვნელოვანი საკითხი და მოითხოვოს მისი საბჭოს სხდომაზე განხილვა;

3 შეხვედრაზე მოხსენების გაკეთება (სიტყვით გამოსვლა)

შეხვედრაზე მოხსენების მექანიზმი:

- დაინტერესებულმა პირმა სხდომამდე წერილობით უნდა წარადგინოს მუნიციპალიტეტის მერიაში მისთვის მნიშვნელოვანი საკითხი და მოითხოვოს მოხსენების გაკეთება.

ინტერესთა კონფლიქტი:

კონკრეტული რესურსების განაწილება ხშირად იწვევს ინტერესთა კონფლიქტს, ამიტომ მსგავს საკითხებზე გადაწყვეტილების მიღება არ უნდა მოხდეს საბჭოს სხდომებზე. საბჭოს სხდომებზე არ უნდა მოხდეს ინდივიდუალური საქმეებისა (გარდა საილუსტრაციო მიზნებისა) და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციების მიერ ინდივიდუალური მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. დებულებით დარეგულირებული უნდა იყოს საბჭოს წევრის მონაწილეობის პროცედურები იმ საკითხების განხილვაში, რომელშიც მას პირდაპირი ან ირიბი ინტერესი გააჩნია. რეკომენდირებულია, ასეთი საკითხის განხილვას არ დაესწროს პირდაპირი ინტერესის მქონე საბჭოს წევრი, ან არ მიიღოს მონაწილეობა განხილვის პროცესში, გარდა საბჭოსთვის ინფორმაციის მიწოდების საჭიროებისა. ოქმებში უნდა აისახოს შეხვედრების მომხსენებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტი. საბჭოს საქმიანობაში ინტერესთა შეუთავსებლობის პრევენცია, ასევე უნდა ეყრდნობოდეს და ითვალისწინებდეს გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კომიტეტის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, კომენტარების შინაარსსა და რეკომენდაციებს.

ზოგადი რჩევები და რეკომენდაციები საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით:

- საჭიროა მუნიციპალიტეტში შეიქმნას პირობები კონვენციის 4(3), 29-ე მუხლების პრაქტიკაში განხორციელებისთვის, რისთვისაც საჭიროა მისაწვდომობის კომპონენტების, ფორმატის, ფიზიკური გარემოს, საკომუნიკაციო საშუალებების და სხვათა სტანდარტების დაცვა, წევრთა და დასწრების შესაძლო მსურველთა საჭიროებების წინასწარ შესწავლის მეთოდის გამოყენებით.

- საბჭოს ეფექტური მუშაობისათვის უმჯობესია განხილული იქნეს ისეთი საკითხები, რომელსაც საზოგადოების დიდი ჯგუფებისათვის აქვს საერთო მნიშვნელობა. მაგ: სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ინკლუზიური სწავლების განვითარება, სკოლებში ინკლუზიური განათლების ხელშეწყობა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პროფესიული მომზადება-გადამზადების ხელშეწყობა, მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პარკირების წესის შემუშავება, მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებში უნივერსალური დიზაინის პრინციპების გათვალისწინების ხელშეწყობა, მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შინაარსობრივი ნაწილის გონივრული მისადაგების გამოყენებით შექმნის ან არსებულების გარდაქმნის ხელშეწყობა, თითოეულ მუნიციპალურ პროგრამაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების გათვალისწინება და სხვა ისეთი საკითხები, რომლებსაც ასევე საერთო მნიშვნელობა აქვს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების დიდი ჯგუფებისთვის.

- საბჭოს წევრების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის წარმომადგენელთა დამოკიდებულება. კანდიდატები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე თემში უნდა სარგებლობდნენ მაღალი რეპუტაციით.

- ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება და კომპეტენცია ზოგადად დაბალია საზოგადოებაში, რეკომენდირებულია მუნიციპალიტეტის მერიაში გაჩნდეს მექანიზმები, რომლითაც შესაძლებელი იქნება საბჭოს წევრების კვალიფიკაციის მუდმივი ამაღლება.

- რეკომენდირებულია, საბჭოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის წარმომადგენელი წევრები არ იყვნენ არჩეული მუდმივი ვადით და პერიოდულობით (რეკომენდირებულია 2-3 წლის ვადით) ხდებოდეს წევრთა შემადგენლობის განახლება/როტაცია, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის ფართო ჩართულობა. წევრთა არჩევის ვადის დაწესების შემთხვევაში, ვადა უნდა განსაზღვროს მუნიციპალიტეტის მერიამ არსებული ადამიანური რესურსების გათვალისწინებით.

- ახლად შექმნილი საბჭოების ეფექტური მუშაობისათვის, პრიორიტეტული საკითხების, ინფორმაციისა და წარმატებული პრაქტიკის გაზიარების მიზნით, სასურველია თანამშრომლობა სხვა მუნიციპალიტეტებში მოქმედ საბჭოებთან.

- საბჭოს საქმიანობის ეფექტურობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია მისი მხარდაჭერა, ფუნქციონირებისთვის აუცილებელი მატერიალური და არამატერიალური რესურსებით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება №1- 158

„16" აპრილი 2018 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ქ" ქვეპუნქტისა და "შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულება" ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს სოფიო ხუნწარიას.
3. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

დანართი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულება

მუხლი 1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო (შემდგომში – საბჭო) წარმოადგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში განიხილავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შემდგომში - შშმ) პირთა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თანაბარი, სრულყოფილი და ეფექტური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობების შექმნის საკითხებს.

მუხლი 2

საბჭო ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით, საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით", „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ" საქართველოს კანონით, ამ დებულებითა და სხვა სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 3

საბჭოს ამოცანებია:

ა) ქ. თბილისის მუნიციპალიტეტში, შშმ პირთა საკითხებზე ერთიანი საქალაქო პოლიტიკის შემუშავებასა და დანერგვაში მონაწილეობა;

ბ) შშმ პირთა უფლებების დაცვა და კომპეტენციის ფარგლებში შშმ პირთა ყველა ფორმის დისკრიმინაციის აღმოფხვრის ხელშეწყობა;

გ) შშმ პირთა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში თანაბარი, სრულყოფილი და ეფექტური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად აუცილებელი პირობების შექმნის მიზნით შესაბამისი წინადადებების, რეკომენდაციების და გეგმების შემუშავება;

დ) შშმ პირთა უფლებების დაცვისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით სახელმწიფო უწყებებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და ამ საკითხით დაინტერესებულ საზოგადოების სხვა წევრებთან თანამშრომლობა;

ე) შშმ პირთა, მათი წარმომადგენელი ორგანიზაციების და თემით დაინტერესებული საზოგადოების სხვა წევრების მონაწილეობის ხელის შეწყობა, იმ საკითხებზე გადაწყვეტილების მიღებისას, რომელმაც შეიძლება გავლენა მოახდინოს შშმ პირთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანაბარი მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფაზე.

მუხლი 4

1. საბჭოს ფუნქციებია:

ა) შშმ პირებთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში არსებული მდგომარეობის შესწავლა და ანალიზი;

ბ) შშმ პირთა უფლებების დაცვისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანასწორი მონაწილეობის შესაძლებლობის უზრუნველყოფის მიზნით რეკომენდაციების შემუშავება;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების, ტერიტორიული ორგანოების (რაიონული გამგეობების), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების, არასამთავრობო ორგანიზაციების აქტიურად ჩაბმის უზრუნველყოფა შშმ პირთა საზოგადოებაში ჩართულობის კუთხით;

დ) შშმ პირებთან დაკავშირებული სერვისების განხორციელების შეფასება;

ე)შშმ პირებთან დაკავშირებით მომზადებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული აქტების პროექტების განხილვა და დასკვნების მომზადება;

ვ) სხვა ფუნქციების განხორციელება საბჭოს კომპეტენციიდან და საქართველოს კანონმდებლობიდან გამომდინარე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების განსახორციელებლად საბჭოს აღმასრულებელ მდივანს უფლება აქვს საბჭოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოითხოვოს სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულებიდან, ტერიტორიული ორგანოებიდან (რაიონული გამგეობებიდან), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირებიდან და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირებიდან ოფიციალური მონაცემები და დოკუმენტები.

მუხლი 5

1. საბჭო შედგება 17 (ჩვიდმეტი) წევრისაგან.

2. საბჭოს თავმჯდომარეა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

3. საბჭოს წევრთა შემადგენლობას განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი.

4. საბჭოს ჰყავს თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც არის სოციალური საკითხების კურატორი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე.

5. საბჭოს შემადგენლობაში შედის აღმასრულებელი მდივანი.

6. საბჭოს შემადგენლობაში თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის და აღმასრულებელი მდივნის გარდა შედის:

ა) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი;

ბ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსი;

დ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი;

ე) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის უფროსი;

ვ) შშმ პირთა ორგანიზაციების 8 (რვა) წარმომადგენელი.

7. შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებს საბჭოს წევრებად ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს აღმასრულებელი მდივნის წარდგინებით.

8. შშმ პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა საბჭოს წევრობისთვის უნდა წარმოადგინონ შესაბამისი დოკუმენტების ნუსხა:

ა)ორგანიზაციის წარმომადგენლის CV და პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) სამოტივაციო წერილი;

გ) საბჭოს წევრზე დაკისრებულ უფლება - მოვალეობებზე და მათ შესრულებაზე საკუთარი ხედვა და სამუშაო გეგმა;

დ) შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე მომუშავე სამი ორგანიზაციის რეკომენდაცია, რომელთაც გააჩნიათ მუშაობის მინიმუმ სამწლიანი გამოცდილება.

9. შემოსული განცხადებების ანალიზს და საბუთების დებულებასთან შესაბამისობას ახორციელებს საბჭოს მდივანი.

10. საბჭოს წევრად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელი პირი ინიშნება ორი წლის ვადით. ორი წლის შემდეგ ხდება წევრის როტაცია ამ მუხლის მე-8 პუნქტის მოთხოვნების გათვალისწინებით.

მუხლი 6

საბჭოს თავმჯდომარე:

ა) ხელმძღვანელობს საბჭოს მუშაობას, იწვევს და უძღვება (მორიგ და რიგგარეშე) სხდომებს;

ბ) წარმოადგენს საბჭოს და საბჭოს სახელით აწარმოებს მიმოწერას;

გ) დავალებებს აძლევს საბჭოს ცალკეულ წევრებს;

დ) ამტკიცებს საბჭოს სხდომის დღის წესრიგს და სამუშაო გეგმას;

ე) უფლებამოსილია თავმჯდომარის მოადგილეზე ან/და აღმასრულებელ მდივანზე მოახდინოს ცალკეული უფლებამოსილებების დელეგირება.

მუხლი 7

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე:

ა) თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში ახორციელებს მის უფლებამოსილებას;

ბ) თავმჯდომარის დავალებით, ამ დებულებიდან გამომდინარე ასრულებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 8

საბჭოს აღმასრულებელი მდივანი:

ა) აღმასრულებელ მდივანს, ნიშნავს და ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის წარდგინებით;

ბ) აღმასრულებელი მდივანი საბჭოს თავმჯდომარის დავალებით მონაწილეობს შეზღუდული შესაძლებლობის საკითხებზე საქალაქო პროგრამების, აქტივობების და ღონისძიებების დაგეგმვის პროცესში;

გ) ამ დებულების შესაბამისად ასრულებს თავმჯდომარის ცალკეულ დავალებებს;

დ) კორდინაციას და მონიტორინგს უწევს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების აღსრულებას;

ე) საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობას იღებს სამოქალაქო სექტორისგან შექმნილი თემატური ჯგუფების მუშაობაში და წარადგენს საბჭოს წინაშე მათ მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს;

ვ) ასრულებს ამ დებულებით გათვალისწინებულ უფლებამოვალეობებს.

მუხლი 9

1. საბჭოს წევრს უფლება აქვს:

ა) საბჭოს სხდომაზე განსახილველად წამოაყენოს საკითხები და წინადადებები;

ბ) წერილობით აცნობოს საბჭოს თავმჯდომარეს თავისი პოზიცია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომელზეც მისი აზრი პრინციპულად განსხვავდება საბჭოს სხდომაზე მიღებული წინადადების, დასკვნის ან რეკომენდაციისაგან;

გ) საბჭოზე განსახილველი საკითხების მოგვარების უზრუნველსაყოფად არასამთავრობო ორგანიზაციების წარმოდგენელ წევრს უფლება აქვს შემუშავებული მიზნობრივი პროექტები დაფინანსების მისაღებად წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში;

დ) ცალკეულ საკითხებზე დასკვნებისა და რეკომენდაციების მომზადების მიზნით საბჭოს წევრებისგან შექმნას სამუშაო ჯგუფი;

ე) საბჭოს გადაწყვეტილებით იყოს მისი ოფიციალური წარმომადგენელი.

2. საბჭოს წევრი ვალდებულია:

ა) მონაწილეობა მიიღოს საბჭოს სხდომებში და არ გამოტოვოს სხდომები არასაპატიო მიზეზით;

ბ) თემში, რომლის წარმომადგენელი არჩეული იქნა საბჭოს წევრად, შექმნას სამუშაო ჯგუფი, ყოველ 3 (სამ) თვეში ჩაატაროს არა ნაკლებ ერთი შეხვედრა, შეადგინოს შეხვედრის ოქმები, განხილული საკითხებისა და გადაწყვეტილებების შესახებ სხდომის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით აცნობოს საბჭოს აღმასრულებელ მდივანს;

გ) შეასრულოს საბჭოს დავალებები და დაიცვას ამ დებულებით განსაზღვრული მოთხოვნები;

დ) წარუდგინოს საბჭოს ანგარიში მისთვის დაკისრებული დავალებების შესრულების შესახებ.

3. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია თუ:

ა) პირადი განცხადების საფუძველზე უარი თქვა საბჭოს წევრობაზე;

ბ) ზედიზედ 3-ჯერ გააცდინა სხდომა არასაპატიო მიზეზით;

გ) განთავისუფლდა დაკავებული თანამდებობიდან;

დ) ვეღარ ასრულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობებს;

ე) გამოცხადდა უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

ვ) განხორციელდა გეგმიური როტაცია.

4. საბჭოს წევრი ვალდებულია თემში (თემი - საერთო მდგომარეობითა და პრობლემებით შეკავშირებული ადამიანთა ერთობა), რომლის წარმომადგენელი არჩეული იქნა საბჭოს წევრად, შექმნას სამუშაო ჯგუფი, ყოველ 3 (სამ) თვეში ჩაატაროს არა ნაკლებ ერთი შეხვედრა, შეადგინოს შეხვედრის ოქმები, განხილული საკითხებისა და გადაწყვეტილებების შესახებ სხდომის დასრულებიდან ერთი კვირის ვადაში წერილობით აცნობოს საბჭოს აღმასრულებელ მდივანს.

მუხლი 10

1. საბჭოს მდივანს ნიშნავს და ათავისუფლებს საბჭოს თავმჯდომარე, საბჭოს აღმასრულებელი მდივნის წარდგინებით.
2. საბჭოს მდივანი არ არის საბჭოს წევრი.
3. საბჭოს მდივანი:

ა) პასუხისმგებელია საბჭოს სხდომის ოქმის სწორად და ზუსტად შედგენაზე, სხდომათა მასალების შენახვასა და დაცვაზე;

ბ) საბჭოს წევრებს წარუდგენს განსახილველი საკითხების ნუსხას;

გ) საბჭოზე განსახილველ საკითხთა ჩამონათვალს ურიგებს საბჭოს წევრებს და უწევს კონტროლს დოკუმენტაციის შეგროვებასა და დამუშავებას;

დ) აწარმოებს საბჭოს სხდომების საოქმო დოკუმენტაციას;

ე) ახორციელებს საბჭოს დებულებით გათვალისწინებულ და საბჭოს თავმჯდომარის მიერ მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

მუხლი 11

1. საბჭოს სხდომები იმართება სამ თვეში ერთხელ, ან საჭიროებისამებრ.
2. საბჭოს სხდომაზე მოწვეული უნდა იქნეს მისი ყველა წევრი.
3. საბჭოზე არ შეიძლება განხილულ იქნას საკითხი, გარდა შიდა საორგანიზაციო და საპროცედურო საკითხებისა, თუკი ასეთი წინასწარ არ არის შეტანილი საბჭოს წევრებთან შეთანხმებულ დღის წესრიგში.

4. საბჭოს წევრს უფლება აქვს სხდომის დაწყების წინ წერილობით წარუდგინოს თავისი პოზიცია თავმჯდომარეს სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც უნდა გაცხადდეს სხდომაზე და გათვალისწინებული იქნას გადაწყვეტილების მიღებისას.

5. საბჭოს სხდომა ფორმდება ოქმის სახით, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) ოქმის გამომცემი ორგანოს დასახელება;

ბ) სხდომის დრო და ადგილი;

გ) სხდომის თავმჯდომარის და წევრების ვინაობა;

დ) განხილვის საგანი;

ე) მიღებული გადაწყვეტილება;

ვ) განსხვავებული მოსაზრება, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

6. სხდომის ოქმს ხელმოწერით ადასტურებენ სხდომის თავმჯდომარე და საბჭოს მდივანი.

7. საბჭოს სხდომებზე ხდება დამსწრეთა რეგისტრაცია.

8. საბჭოზე გადაწყვეტილება მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

9. საბჭოს უფლება აქვს მოიწვიოს სპეციალისტები და ექსპერტები, განსახილველი საკითხის სპეციფიკიდან გამომდინარე, სამუშაო პროცესში მონაწილეობის მისაღებად, სათათბირო ხმის გარეშე.

10. საბჭო იღებს გადაწყვეტილებებს, რომელიც სარეკომენდაციო ხასიათისაა.

მუხლი 12

1. საბჭო თავის სხდომაზე გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშს წარუდგენს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წელიწადში ერთხელ.

2. საბჭოს მიერ გაწეული სამუშაოების შესახებ ინფორმაციას/ანგარიშს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას წარუდგენს საბჭოს აღმასრულებელი მდივანი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

წერილის ნომერი:**15-01181572834**
თარიღი: **06/06/2018**

ადრესატი:

კახა კალაძე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ბატონო კახა,

ქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2018 წლის 16 აპრილის N1-158 დადგენილების მე - 5 მუხლის მე -7 პუნქტის საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თემის წარმომადგენელ წევრებად დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ შემდეგ კანდიდატებს;

გიორგი ძნელაძე - მობილობის შეფერხების მქონე პირთა წარმომადგენელი,

ირინე ინასარიძე - სერვისების მიმწოდებელთა წარმომადგენელი,

ზაზა მარტიაშვილი - უსინათლო და მცირე მხედველ პირთა წარმომადგენელი,

გიორგი ალავიძე - ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის სპეციალისტი,

ამირან ბატატუნაშვილი - სმენის დარღვევების მქონე პირთა წარმომადგენელი,

ლია ტაბატაძე - გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთა წარმომადგენელი,

მაკა ნასყიდაშვილი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობელთა წარმომადგენელი,

ირაკლი სეფერთელაძე - ახალგაზრდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენელი.

პატივისცემით,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივანი

გიგა სოფრომაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება № 1-346

„18" ივნისი 2018 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შემადგენლობაში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 16 აპრილის №1-158 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის მე-7 პუნქტის საფუძველზე და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს აღმასრულებელი მდივნის 2018 წლის 6 ივნისის №15-01181572834 წარდგინების გათვალისწინებით,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ორგანიზაციების წარმომადგენლების შემადგენლობა:

ა) გიორგი ძნელაძე - მობილობის შეფერხების მქონე პირთა წარმომადგენელი - საბჭოს წევრი;

ბ) ირინე ინასარიძე - სერვისები მიმწოდებელთა წარმომადგენელი - საბჭოს წევრი;

გ) ზაზა მარტიაშვილი - უსინათლო და მცირე მხედველთა პირთა წარმომადგენელი - საბჭოს წევრი;

დ) გიორგი ალავიძე - ინფრასტრუქტურის მისაწვდომობის სპეციალისტი - საბჭოს წევრი;

ე) ამირან ბატატუნაშვილი - სმენის დარღვევების მქონე პირთა წარმომადგენელი - საბჭოს წევრი;

ვ) ლია ტაბატაძე - გონებრივი განვითარების შეფერხების მქონე პირთა წარმომადგენელი - საბჭოს წევრი;

ზ) მაკა ნასყიდაშვილი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების მშობელთა წარმომადგენელი;

თ) ირაკლი სეფერთელაძე - ახალგაზრდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა წარმომადგენელი - საბჭოს წევრი.

2. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილეს სოფიო ხუნწარიას.

3. ამ ბრძანების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

კახა კალაძე

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 2 378 170, ფაქსი: (+995 32) 2 378 200

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს

სხდომის ოქმი №9

ქ. თბილისი

2019 წლის 23 დეკემბერი
14:00 საათი

სხდომის თავმჯდომარე,
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე **სოფიო ხუნწარია**

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს წევრები - გელა ჩივიაშვილი, გიგა სოფრომაძე, ირინე ინასარიძე, ამირან ბატატუნაშვილი, გიორგი ალავიძე, ლია ტაბატაძე, მაკა ნასყიდაშვილი, ზაზა მარტიაშვილი;

მოწვეული სტუმრები - ‹

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები:

1. 2019 წელს განხორციელებული სამუშაოების მიმოხილვა;
2. 2020 წელს შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ ავტობუსის მძღოლებისა და მონიტორინგის სამსახურის თანამშრომლების გადამზადება შშმ პირთა მომსახურების მიმართულებით;
3. 2020 წელს მერიისა და გამგეობების თანამშრომელთა ტრენინგები შშმ პირთა საკითხების შესახებ ცნობიერების ამაღლებისათვის;
4. სკრინინგ ცენტრების ადაპტირება;

5. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების“ პროგრამაში ჩართულ პირთა პროგრამით კმაყოფილების კვლევის მოკლე ანგარიში;

I საკითხი

მომხსენებელი - გიგა სოფრომაძე (საბჭოს აღმასრულებელი მდივანი)

საბჭოს აღმასრულებელმა მდივანმა სხდომაზე დამსწრეებს გააცნო ინფორმაცია 2019 წელს ინფრასტრუქტურის მიმართულებით განხორციელებული სამუშაოების შესახებ. მან ისაუბრა მერიისა და გამგეობების პროექტებში უნივერსალური დიზაინის პრინციპების გამოყენების კონკრეტულ მაგალითებზე, რომლებიც დაცულია ქუჩებისა და სკვერების რეაბილიტაციის პროცესებში და გულისხმობს: ტროტუარზე და ობიექტების შესასვლელებში არა პანდუსის მოწყობას, არამედ მთლიანი შესასვლელის დაწევას ნულოვან ნიშნულზე, ტაქტილურ ბილიკებს, ხმოვან შუქნიშნებს, მისაწვდომ შადრევნებს და ა.შ..

გიგა სოფრომაძემ ისაუბრა ავტობუსების მიერ გაჩერებების გამოცხადების სიტემაზე. მისი თქმით გახმოვანების სისტემა ჩართულია და გაჩერებების სახელდების პარალელურად, მიმდინარეობის მისი სრულყოფა. სამუშაო პროცესში ჩართული არიან უსინათლო პირები.

აღმასრულებელი მდივანი ასევე შეეხო ინფრასტრუქტურის საქალაქო სამსახურის მიერ ხარვეზიანი ლოკაციების გამოსწორების საკითხს. მისი თქმით ქალაქში არსებულ 25-მდე ლოკაციაზე განხორციელდა გადასასვლელების და ავტობუსის მოსაცდელების ადაპტირების სამუშაოები.

საბჭოს წევრებს ასევე მიეწოდათ ინფორმაცია, რომ ქალაქის მასშტაბით მიმდინარეობს მიწისქვეშა გადასასვლელებში ლიანდაგების მოხსნა და მონტაჟდება ამწე პლატფორმები, რომელიც მოსახერხებელი იქნება ყველა იმ მოქალაქისათვის, რომელსაც უჭირს კიბეებით სარგებლობა. ამწე პლატფორმები უკვე დამონტაჟებულია ფილარმონიიდან ავლაბრის მეტრომდე არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელებში.

II საკითხი

მომხსენებელი - გიგა სოფრომაძე (საბჭოს აღმასრულებელი მდივანი)

გიგა სოფრომაძემ განაცხადა, რომ აუცილებელი 2020 წელს განხორციელდეს თბილისში მოძრავი ავტობუსები მძღოლების და მონიტორინგის (ე.წ კონტროლიორების) თანამშრომლების გადამზადება შშმ პირთა მომსახურების მიმართულებით, რათა მათი კვალიფიკაცია გაიზარდოს და მომსახურების სტანდარტი სრულყოფილად იქნეს დაცული.

დაევალა: საბჭოს აღმასრულებელ მდივანს, შპს თბილისის სატრანსპორტო კომპანიასთან ერთად დაიწყოს მუშაობა მძღოლებისა და მონიტორინგის თანამშრომელთა გადამზადების დაგეგმვაზე.

ვადა: ორი კვირა

III საკითხი

მომხსენებელი - გიგა სოფრომაძე (საბჭოს აღმასრულებელი მდივანი)

გიგა სოფრომაძის თქმით, ავტობუსის მძღოლებისა და მონიტორინგის თანამშრომლების გადამზადებასთან ერთად ასევე საჭიროა შშმ პირთა საკითხების მიმართულებით გადამზადება გაიარონ მერიისა და გამგეობების ყველა თანამშრომელმა, რათა მათ ჰქონდეთ ცოდნა შშმ პირთა უფლებების, საჭიროებებისა და ამ საჭიროებების დაკმაყოფილების გზების შესახებ.

დაევალა: საბჭოს აღმასრულებელ მდივანს, მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოსთან ერთად დაიწყოს მუშაობა მერიისა და გამგეობების თანამშრომელთა გადამზადების დაგეგმვაზე.

ვადა: ერთი თვე

IV საკითხი

მომხსენებელი - გიგა სოფრომაძე (საბჭოს აღმასრულებელი მდივანი)

საბჭოს აღმასრულებელი მდივნის თქმით, საბჭოს, თხოვნით მიმართავენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები, რომლებიც ითხოვენ კიდევ უფრო დაჩქარდეს სკრინინგ ცენტრების როგორც შენობის, ისე ინფრასტრუქტურის ადაპტირება. გიგა სოფრომაძის განცხადებით 2019 წელს უკვე განხორციელდა გლდანში მდებარე ობიექტის ადაპტირება, მასზე მოეწყო ელექტრო ამწე პლატფორმა, ხოლო გამოკვლევებისათვის საჭირო აპარატურის დიდი ნაწილი არის თანამედროვე მოდელის და შესაბამისად, მორგებულია შშმ პირთა ფიზიკურ საჭიროებებზე, თუმცა არის რამდენიმე ობიექტი, რომელზეც განსახორციელებელია სამუშაოები.

დაევალა: მოთხოვნის ავტორებთან, საბჭოს წევრებთან და სკრინინგ ცენტრების წარმომადგენლებთან ერთად დამუშავდეს მოთხოვნის შინაარსი და 2020 წელს განხორციელდეს ყველა შესაძლებელი სამუშაო.

ვადა: 3 თვე

V საკითხი

მომხსენებელი - (ააიპ - სამართლისა და თანასწორობის ცენტრი)

შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების პროგრამის“ კვლევას. მან საბჭოს წევრებს გააცნო კვლევის მეთოდოლოგია და კვლევისას გამოვლენილი ძირითადი საკითხები. მისი თქმით კვლევის შესახებ დეტალური ანგარიშით დაიბეჭდება ბუკლეტები, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებული პირებისთვის.

რიგგარეშე საკითხები:

საბჭოს წევრებმა - ქალბატონმა ლია ტაბატაძემ და მაკა ნასყიდაშვილმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, საბჭოსთან ერთად, შეიმუშავოს 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა (პოლიტიკის დოკუმენტი) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების მიმართულებით, რომელშიც შეტანილი იქნება მერიის თითოეული სამსახურის მიერ ხსენებულ პერიოდში განსახორციელებელი სამუშაოების დეტალები.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ჩანიშნა შეხვედრა 2020 წლის იანვარის თვეში.

საბჭოს წევრმა ბატონმა გიორგი ალავიძემ გამოთქვა ინიციატივა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს წევრები ჩართული იყვნენ მუნიციპალიტეტის „ფისკალური“ ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

ინიციატივა მიღებულ იქნა ცნობად.

სხდომის თავმჯდომარე,
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
მერის მოადგილე **სოფიო ხუნწარია**

საბჭოს მდივანი **დავით გუჩმაზაშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს

სხდომის ოქმი №8

ქ. თბილისი

2019 წლის 18 იანვარი
11:30 საათი

სხდომის თავმჯდომარე **სოფიო ხუნწარია**

სხდომას ესწრებოდნენ:

საბჭოს წევრები - გელა ჩივიაშვილი, გიგა სოფრომაძე, გიორგი ძნელაძე, ირინე ინასარიძე, მაია მეტონიძე, გიორგი ალავიძე, ლია ტაბატაძე, მაკა ნასყიდაშვილი, ირაკლი სეფერთელაძე;

მოწვეული სტუმრები

დღის წესრიგი:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური ასისტენტის მომსახურების პროგრამის განხილვა;

საკითხი

მომხსენებელი - (ასოციაცია ანიკას პერსონალური ასისტენტის პროექტის მენეჯერი)

ქალბატონმა საბჭოს წევრებს პრეზენტაციის სახით წარუდგინა პერსონალური ასისტენტის პროგრამის 2018 წლის 6 თვის ანგარიში. ისაუბრა პროექტის მიმდინარეობის პერიოდში განხორციელებული სამუშაოს, კერძოდ, მომართვიანობის რაოდენობასა და პერსონალური ასისტენტის მიერ გაწეული მომსახურების საათობრივი დატვირთვის შესახებ. ამასთანავე, ქალბატონი მაკას მიერ განმარტებულ იქნა ასისტენტის მომსახურების სპეციფიკა და ძირითადი მიმართულებები, როგორიცაა: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა განათლების, დასაქმების, დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

შშმ პირთა დასაქმების ხელშეწყობის მიმართულებით, პერსონალური ასისტენტის პროგრამის დახმარებით, რამდენიმე შშმ პირმა შეძლო შრომითი ხელშეკრულების გაფორმება ან გახდა თვითდასაქმებული. პერსონალური ასისტენტის მხარდაჭერით რამდენიმე შშმ პირი ჩაირიცხა პროფესიულ სასწავლებელში. პერსონალური ასისტენტის პროექტით მოსარგებლე პირებმა შეძლეს დამოუკიდებლად მიეღოთ მონაწილეობა კულტურულ - გასართობ ღონისძიებებში, მისულიყვნენ სამკურნალო დაწესებულებებში, სავაჭრო ცენტრებში, საკვებ ობიექტებში, სპორტ-დარბაზებში და ა.შ.

პრეზენტაციის დასრულების შემდეგ, სხდომაზე დამსწრე პირებმა, ასოციაცია ანიკას წარმომადგენლებთან ერთად იმსჯელეს პროექტის განვითარებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ასპექტებზე. განხილული იქნა ასოციაცია ანიკას მიერ გამოყენებული მეთოდების აღიარების საკითხი შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ და ასევე, ასისტენტების საათობრივი დატვირთვის გაზრდა.

დასკვნის სახით, ასოციაცია ანიკას გაეწია რეკომენდაცია, 2018 წელს განხორციელებული საპილოტე პროექტის ანალიზის შედეგად მომხდარიყო მისი განვითარება და დახვეწა, რაც თავის მხრივ უფრო მეტად შეუწყობდა ხელს შშმ პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციასა და სოციალურ ინკლუზიას.

საბჭოს თავმჯდომარე **სოფიო ხუნწარია**

საბჭოს მდივანი **დავით გუჩმაზაშვილი**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭო

N9 სხდომის დღის წესრიგი

23.12.2019

14:00 საათი

თბილისის მერია, სართული 16, დარბაზი 1601

<u>მიმდინარეობს სხდომის აუდიო ჩაწერა</u>

დრო	საკითხი	მომხსენებელი
5 წუთი	დღის წესრიგის დამტკიცება	სხდომის თავმჯდომარე
10 წუთი	2020 წელს ავტობუსის მძღოლების და ტრანსპორტის კომპანიის მონიტორინგის თანამშრომლების გადამზადება შშმ პირთა მომსახურების მიმართულებით	საბჭოს აღმასრულებელი მდივანი
10 წუთი	2020 წელს შშმ პირთა შესახებ ცნობიერების ამაღლებისთვის მერიისა და გამგეობების თანამშრომელთა ტრენინგები	საბჭოს აღმასრულებელი მდივანი
5 წუთი	სკრინინგ ცენტრების გარემოს და ინვენტარის ადაპტირება	საბჭოს წევრი - სერვისების წარმომადგენელი
40 წუთი	„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა საკურორტო მომსახურების“ პროგრამაში ჩართულ პირთა პროგრამის შეფასების კვლევის ანგარიში	კვლევის განმახორციელებელი ორგანიზაცია - სამართლისა და თანასწორობის ცენტრი